
	<p style="text-align: center;">შპს "ეტალონი"</p> <p style="text-align: center;">პროდუქტის სერტიფიკაციის ორგანო</p> <p style="text-align: center;">0178, თბილისი, ჩარგლის ქ. № 73, ტელ/ფაქსი (995 32) 261 53 39, www.etaloni.net</p>	
ხარისხის სახელმძღვანელო	ხს-სო– 20790441- სქემა 1- 2021	
სერტიფიკაციის სქემები	ვერსია: 03 გვერდი 1 / 6	

სერტიფიკაციის სქემები

შეადგინა: ქ.ქუთათელაძემ	შეამოწმა: მ.ტარსაიძემ	მოქმედებს: 02.05.2021 წ.- დან
-------------------------	-----------------------	----------------------------------

	შპს "ეტალონი" პროდუქტის სერტიფიკაციის ორგანო 0178, თბილისი, ჩარგლის ქ. № 73, ტელ/ფაქსი (995 32) 261 53 39, www.etaloni.org	
	ხარისხის სახელმძღვანელო	ხს-სო- 20790441- სქემა 1- 2021
სერტიფიკაციის სქემები		ვერსია: 03 გვერდი 2 / 6

შპს "ეტალონი"-ს
პროდუქტის სერტიფიკაციის ორგანოს მიერ გამოსაყენებელი
სერტიფიკაციის შემდეგი სქემები (სქემა № 3 და სქემა № 7)

სქემის N	გამოცდები და შესაბამისობის დასაბუთების სხვა საშუალებები	წარმოების მდგომარეობის ანალიზი	პროდუქტის კონტროლი
3	ტიპის გამოცდა	წარმოების მდგომარეობის ანალიზი	დამამზადებელთან ალებული ნიმუშის გამოცდა
7	პარტიის გამოცდა	-	განმცხადებელთან ალებული ნიმუშის გამოცდა

შპს "ეტალონი"-ს პროდუქტის შესაბამისობის სერტიფიკაციის ორგანოში გამოიყენება შემუშავებული ორი ტიპის სერტიფიცირების სქემა.

სერტიფიკაციის სქემების მოთხოვნები შეესაბამება:

სსტ ისო/იეკ 17067:2014/2014 - შესაბამისობის შეფასება - პროდუქტის სერტიფიცირების საფუძვლები და რეკომენდაციები პროდუქტის სერტიფიცირების სქემებისათვის.

განმცხადებელი ეცნობა და ირჩევს სერტიფიკაციის სქემას სერტიფიკაციის ორგანოში ან ვებგვერდზე etaloni.org და სერტიფიკაციის ორგანოში ხელმოწერით ადასტურებს თანხმობას.

პროდუქტის სერტიფიკაციის სქემა შეირჩევა კონკრეტული პროდუქტის წარმოების, გამოცდის, მიწოდების გამოყენების თავისებურებათა და მტკიცებათა საჭირო დონის გათვალისწინებით.

სერტიფიკაციის ორგანო თავის სქემაში იყენებს მესამე სქემას პროდუქტის სერიულ წარმოებაზე, მეშვიდე სქემას პროდუქტის პარტიაზე.

სქემა N 3 (პროდუქტის სერიული წარმოების სერტიფიცირება)

1.1 მესამე სქემა გამოიყენება სერტიფიკატის გაცემისას პროდუქტის სერიულ წარმოებაზე და მოიცავს:

- განმცხადებლის მიერ სერტიფიკაციის ორგანოში განაცხადის და მასზე დართული დოკუმენტების წარდგენას სერტიფიკაციის ორგანოში;
- სერტიფიკაციის ჩასატარებლად ექსპერტის დანიშვნას;
 - სერტიფიკაციის ორგანოს მიერ განაცხადის განხილვა სრულყოფილებაზე
 - განაცხადზე გადაწყვეტილების მიღებას და განმცხადებელთან ნებაყოფლობითი სერტიფიკაციის ჩატარებაზე ხელშეკრულების გაფორმებას.
 - ხელშეკრულება ითვალისწინებს ნორმატიული დოკუმენტის, სერტიფიკაციის სქემის და აკრედიტირებული საგამოცდო ლაბორატორიის შერჩევას, ანაზღაურების პირობებს; ზედამხედველობის პერიოდულობის ჩატარების;
- შეფასების ჩატარების პროგრამის შედგენას;
- განმცხადებელთან საწარმოში ექსპერტის მისვლას;
- წარმოების შეფასების პროგრამის შედგენას;
- წარმოების პროცესზე დაკვირვებას;
- წარმოების მდგომარეობის ანალიზს - (ნედლეულის კონტროლი, ტექნოლოგიური დოკუმენტაციის მდგომარეობა, საწარმოს ლაბორატორიის მიერ ჩატარებული ანალიზების ჩანაწერების კონტროლი. გამზომი საშუალებების და მოწყობილობის არსებობის და მდგომარეობის, საწარმოს სანიტარულ მდგომარეობის, თანამშრომლების შრომით პირობები. ინფორმაციის ხარისხის სისტემის არსებობის შესახებ. ზედამხედველობის ჩატარების ვადა) და შესაბამისი აქტის გაფორმებას.
- პროდუქციის იდენტიფიკაციას, პროდუქციის ნიმუშების აღებას და დალუქვას, ნიმუშის აღება აგრეთვე შესაძლებელია ვაჭრობის ქსელში (ზედამხედველობის ჩატარებისას)
- ნიმუშის აღების აქტის გაფორმებას, რომელსაც ხელს აწერს საწარმოს წარმომადგენელი და სერტიფიკაციის ორგანოს ექსპერტი
- პროდუქციის ნიმუშების ლაბორატორიაში გადაცემას ხელშეკრულების საფუძველზე;
 - მიღებული შედეგების ანალიზს და შესაბამისობის სერტიფიკატის გაცემის შესაძლებლობაზე გადაწყვეტილების მიღებას;
- შესაბამისობის სერტიფიკატის რეგისტრაციას და გაცემას;
- გადაწყვეტილების საფუძველზე სერტიფიკაციის ორგანოს აგრეთვე შეუძლია

შეაჩეროს, ან შეწყვიტოს პროდუქტის სერტიფიცირების პროცესი.

– პროდუქციის შესაბამისობის სერტიფიცირების ყველა პროცედურა ფორმდება დოკუმენტალურად.

წარმოების მდგომარეობის შეფასებისას (ანალიზი) მოწმდება:

- ტექნიკური დოკუმენტაციის არსებობა;
- შენობა-ნაგებობების და ტექნოლოგიური აღჭურვილობის მდგომარეობა;
- წარმოებაში ნედლეულის, მასალების შემავალი კონტროლის შეფასება
- მზა პროდუქტის ისენტიფიკაცია;
- შიდა საწარმოო ლაბორატორიული კონტროლი;
- წარმოებაში დანერგილი ხარისხის მართვის სისტემა;
- საწარმოს სანიტარული მდგომარეობა და პერსონალისამუშაო პირობებით უზრუნველყოფა;
- გამზომი ხელსაწყოების მეტროლოგიური უზრუნველყოფის მდგომარეობა;

1.2 ნიმუშის აღების პროცესის დროს ყურადღება უნდა მიექცეს პროდუქციის პარტიის იდენტიფიკაციის საკითხს გოსტ 23268.0-91 პ.1.1 მიხედვით.

(პროდუქციის დასახელება, დამამზადებელი, დამზადების თარიღი, სერტიფიცირებაზე წარმოდგენილი პროდუქციის პარტიის რაოდენობა, თანმხლები დოკუმენტაცია, შეფუთვის ტიპი და მოცულობა).

ნიმუშის რაოდენობა განისაზღვრება ხარისხის სახელმძღვანელოს № ხს-სო–20790441- 3.3 – 2017 პროცედურის მიხედვით.

1.3. სერიულ წარმოებაზე შესაბამისობის სერტიფიკატები გაიცემა არა უმეტეს ერთი წლის ვადით.

1.4. სერიულ წარმოებაზე გაცემული შესაბამისობის სერტიფიკატის მოქმედების პერიოდში თუ ის აღემატება სამ თვეს, პროდუქტის სერტიფიცირებული მახასიათებლების გადამოწმების მიზნით, სერტიფიკაციის ორგანო ახორციელებს ზედამხედველობას ხელშეკრულების მოთხოვნების შესაბამისად.

სერტიფიკაციის ორგანო ითხოვს მიმწოდებლისაგან, რომ მან აცნობოს პროდუქტის წარმოებაში ყველა ცვლილების შესახებ, მაგალითად, პროდუქტის, საწარმოო პროცესის ან ზოგ შემთხვევაში ხარისხის სისტემის დაგეგმილ შეცვლას, რომელიც ახდენს ზეგავლენას პროდუქტის შესაბამისობაზე. სერტიფიკაციის ორგანო განსაზღვრავს გაცხადებული ცვლილებების დამატებითი გამოკვლევის საჭიროებას.

ამ შემთხვევაში მიმწოდებელმა არ უნდა გაუშვას სარეალიზაციოდ პროდუქტი, რომელზეც აღებული აქვს სერტიფიკატი მანამ, სანამ სერტიფიკაციის ორგანო არ დაადასტურებს პროდუქტის შესაბამისობას.

სერტიფიკაციის ორგანო დოკუმენტურად აფორმებს თავისი საზედამხედველო შედეგებს.

იმ შემთხვევაში, როდესაც შპს "ეტალონი"-ს სერტიფიკაციის ორგანო იძლევა უფლებას თავისი ნიმუშის მუდმივ გამოყენებაზე პროდუქტისათვის, რომელიც იყო სერტიფიცირებული, მან პერიოდულად უნდა ჩაატაროს ნიშანდებული პროდუქტის შეფასება, რათა დაადასტუროს, რომ იგი კვლავაც შეესაბამება სტანდარტებს.

ზედამხედველობა მოიცავს:

- ნიმუშის აღებას და იდენტიფიცირებას;
- სერტიფიცირებულ პროდუქტზე გამოცდების ჩატარებას;
- ჩატარებული გამოცდების ოქმების შედეგების ანალიზს;
- წარმოების მდგომარეობაზე კონტროლს სანიტარული უზრუნველყოფის ჩათვლით;
- შესრულებული სამუშაოებისა და დოკუმენტაციის გაფორმების სრულყოფას;
- აქტის გაფორმებას ზედამხედველობის შედეგების შესაბამისად.

ზედამხედველობის ჩატარების პერიოდულობა თანხმდება განმცხადებელთან ხელშეკრულების გაფორმებისას.

- ხარისხის სისტემის შესრულებულ სამუშაოთა შედეგების ანალიზს; ხარისხის სისტემის შედეგების გავლენას პროდუქტის ხარისხზე;
- აქტის გაფორმებას გეგმიური მონიტორინგის შედეგების მიხედვით.

1.5. ზედამხედველობის ჩატარების პერიოდულობა თანხმდება განმცხადებელთან ხელშეკრულების გაფორმების დროს.

1.6. როდესაც პროდუქტის ვარგისიანობის ვადა არ აღემატება 6 თვეს, ზედამხედველობა ტარდება არანაკლებ 3 თვეში ერთხელ, ხოლო მეტი ვარგისიანობის ვადის მქონე პროდუქტზე განმცხადებელსა და სერტიფიკაციის ორგანოს შორის დადებული ხელშეკრულების შესაბამისად.

1.7. პროდუქტის ხარისხის გაუარესების შესახებ ინფორმაციის არსებობის შემთხვევაში სერტიფიკაციის ორგანო ატარებს არაგეგმიურ საზედამხედველო მონიტორინგს..

1.8. პროდუქტის ნებაყოფლობით სერტიფიკაციასთან და გეგმიური მონიტორინგთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს ანაზღაურებს განმცხადებელი.

1.9. გეგმიური მონიტორინგის შედეგები ფორმდება ცალკე აქტის სახით, რომელსაც თან დაერთვის ნიმუშის აღების აქტი.

1.10. ზედამხედველობის შედეგების საფუძველზე შეუსაბამობის გამოვლენის შემთხვევაში, სერტიფიკაციის ორგანოს შეუძლია შეაჩეროს ან გააუქმოს სერტიფიკატის მოქმედება, რაზეც 3 დღის ვადაში უნდა აცნობოს განმცხადებელს.

2. სქემა N 7 (პარტიის სერტიფიცირება)

2.1. პროდუქტის პარტიაზე შესაბამისობის სერტიფიკატი გაიცემა განმცხადებელთან აღებული ნიმუშების ლაბორატორიული გამოცდის შედეგების საფუძველზე.

სერტიფიკაციის ორგანოს ექსპერტის მიერ საწარმოს განმცხადებელთან ერთად ნორმატიული დოკუმენტის მიხედვით, განცხადებული პროდუქტის პარტიიდან იღებს გამოსაცდელ ნიმუშს 3.1.1.2 , რა დროსაც ხდება მთლიანი პარტიის იდენტიფიკაცია და შესაბამისი აქტის გაფორმება, რომელსაც ხელს აწერს სერტიფიკაციის ორგანოს ექსპერტი და განმცხადებელი, რომელიც ესწრება პროდუქტის ნიმუშის აღების პროცედურას.

3. შესაბამისობის სერტიფიკატის გაცემის შემთხვევაში სერტიფიკაციის ორგანო განმცხადებელს აძლევს უფლებას გამოიყენოს სერტიფიცირებულ პროდუქციის ეტიკეტზე და თანმხლებ დოკუმენტაციაში სერტიფიკატის მოქმედების ვადის პერიოდში პროდუქციაზე გაცემული შესაბამისობის სერტიფიკატის ნომერი, სერტიფიკაციის ორგანოს ლოგო

3.1 სერტიფიკაციის ორგანო აკონტროლებს ლიცენზიების, სერტიფიკატებისა და შესაბამისობის ნიშნების მფლობელობას, გამოყენებასა და წარდგენას.

3.2 მითითებები სერტიფიკაციის ორგანოს მიერ ნებადართული სერტიფიკატების და შესაბამისობის ნიშნების გამოყენების შესახებ მოცემულია ისო/იეკ-ის 23 სახელმძღვანელოში.

3.3 სარეკლამო განცხადებებში, კატალოგებში და ა.შ., ლიცენზიებზე სერტიფიკატებზე და შესაბამისობის ნიშნებზე არასწორი მითითების ან შეცდომაში შესაყვანად გამოყენების შემთხვევაში სერტიფიკაციის ორგანო მიიღებს შესაბამის ზომებს.

ისინი შეიძლება მოიცავდეს მაკორექტირებელ მოქმედებებს, სერტიფიკატის გაუქმებას, დარღვევის შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნებას და საჭიროების შემთხვევაში, სხვა, კანონმდებლობით გათვალისწინებულ ზომებს.

- მომწოდებელი იღებს ვალდებულებას არ გამოიყენოს სერტიფიკაცია ისე, რომ თავისი ქმედებებით შეცდომაში შეიყვანოს სერტიფიკაციის ორგანო და შეულახოს მას რეპუტაცია.
- სერტიფიკაციის ვადის გასვლის, შეჩერების ან გაუქმების შემთხვევაში არ გამოიყენოს სარეკლამო მიზნით სერტიფიკაციაზე მითითება და დროულად დაუბრუნოს სერტიფიკაციის დოკუმენტები.